ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 18/160

(გამარტივებული შესყიდვა წარმომადგენლობითი ხარჯები CPV15800000;)

ქ. თბილისი 20.12.2018 წ.

1. **ხელშეკრულების მხარეები**

ერთის მხრივ ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ ს/ნ 405026877 (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის უფროსი პაატა შეყელაძეს სახით და მეორეს მხრივ, სს „გუდვილი“ ს/ნ· 206343991 (შემდგომში– მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, გიორგი ხაბაშვილის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის და მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომრის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების ობიექტი და საგანი**

2.1 2(ორი) ცალი სასაჩუქრე კალათის შესყიდვა

3. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 484 .74 (ოთხას ოთხმოცდაოთხი ლარი სამოცდათოთხმეტი თეთრი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. **მიწოდების ვადები და ადგილი**

4.1. მიმწოდებელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილი მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

5. **ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდებისას თან დაურთოს საქონლის თანმხლები დოკუმენტაცია.

5.2. საქონლის გადაცემა დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით (რომელსაც ადგენს შემსყიდველი ორგანიზაცია) და მიმწოდებლის მიერ შედგენილი სასაქონლო ზედნადებით.

5.3. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება შემსყიდველი ორგანიზაციის ა(ა)იპ „მუნიციპალურისერვისების განვითარების სააგენტოს“ იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსს ვლადიმერ კილასონიას

5.4. მისაწობელი პროდუქციის ფაქტობრივ გადაცემამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის მიმწოდებელს, ხოლო გადაცემის შემდგომ აღნიშნული უფლება გადადის შემსყიდველ ორგანიზაციაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

6.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.2. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის, ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეების უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველი ორგანიზაციისათვის საქონლის გადაცემიდან ორი დღის ვადაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში შეცვალოს საქონელი მსგავსი დასახელების ტექნიკური პარამეტრების ძირითადი მახასიათებლებისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების შესაბამისი ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონლით.

7.1.2. მის მიერ საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების (მათ შორის უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) შემთხვევაში შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნით დაეკისროს პირგასამტეხლო ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტში ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტში მითითებული თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე.

7.1.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.1.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

7.1.5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში მოხდა რომელიმე გამოცემის საცალო ფასის ზრდა ან კლება, მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთ ორგანიზაციას.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

7.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7.2.2. მიმწოდებლისგან მიიღოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელის წერილობითი მოთხოვნით, შემსყიდველმა გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტში ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტში მითითებული თანხის 0,02% ოდენობით.

7.3. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

7.3.1. მიმწოდებლისგან მოითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონლის ადგილზე მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.3.2. მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.4. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.5. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

7.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.9. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

8.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. სხვა პირობები

9.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

9.2. მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.
9.3. ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.
9.5. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე.
9.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. № 29-29ა საიდენტიფიკაციო კოდი: 405026877 მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი - TRESGE22 ანგარიშსწორების ანგარიში № 741873459	სს „გუდვილი“ მის: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.N9 ს/კ 206343991 სს “თბისი ბანკი” ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE61TB361533602010004
შემსყიდველი	**მიმწოდებელი**